პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 157 (11463)
ხუთშაბათი
9
ივლისი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

დღეს ნომერში:

მთელი ჩვენი ძალები, ენერგია შვიდწლედის ვადამდე შესრულებას! (1-ლი გვერდი).

მექანიზატორებო, გაუსწორდით მოწინავეებს! (1-ლი გვერდი).

ლ. ჩიქავა. — ტექნიკური პროგრესი გადაწყვეტს შვიდწლედის ძირეულ პრობლემას (მე-2 გვერდი).

ე. ხარებავა. — მეტოქეები (მე-2 გვერდი).

თანამედროვეობისათვის, მაღალი ოსტატობისათვის (მე-3 გვერდი).

აკროპოლის რაინდმა უნდა იცოცხლოს! (მე-3 გვერდი).

ნ. ცხაკაია. — პოპულარული ნაშრომი სისტემულ ფილოსოფიაზე (მე-3 გვერდი).

ვ. კოლოკოლნიკოვი. — 300.000 დამთვალიერებელი ერთ კვირაში (მე-3 გვერდი).

უცხოეთისა და ადგილობრივი ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

დავაჩქაროთ წინსვლა დიადი მიზნისაკენ

ჩვენ ვცხოვრობთ შესანიშნავ ეპოქაში, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ეპოქაში. ჩვენ ხალხს გმირ ხალხს ეძახიან. ასე ეძახიან მეგობრები, და იძულებული არიან ასე ეძახდნენ მტრებიც. გმირები არ იბადებიან ძილში, არ იბადებიან მთქნარებით, არ იბადებიან, თუ არ არის დიადი მიზანი.

ჩვენი მიზანია კომუნიზმი.

კომუნიზმისაკენ ჩვენი წინსვლის უზრუნველყოფა, კომუნიზმის ტექნიკურ-მატერიალური ბაზის მომზადების დაჩქარება ჩვენი შვიდწლედის მთავარი ამოცანებია. ამ ამოცანების განხორციელებაში არსებითია ტექნიკური პროგრესი, მრეწველობისა და მშენებლობის ახალ ტექნიკურ რელსებზე გადაყვანა, ოაც შეამოკლებს გზას მიზნისაკენ, რითაც გავიჭრებით ახალ სივრცეებში.

ტექნიკური პროგრესის დეტალურად დამუშავებული პროგრამა დასახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა.

პლენუმის გადაწყვეტილებებში აისახა საბჭოთა ხალხის გულის ხმა, მისი მისწრაფება. ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხებს ხმას ეერთებენ საქართველოს მშრომელები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებამ ჩვენს რესპუბლიკაში დიდი სიხარული და შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ფაბრიკა-ქარხნებში, შახტებსა და მაღაროებში, მშენებლობებზე გაზრდილ ვალდებულებებს კისრულობენ, გაჩაღებულია შემოქმედებითი შრომა ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მშრომელებმა. მათ ჩვენი გაზეთის საშუალებით საქართველოს მრეწველობისა და მშენებლობის მუშაკებს მიმართეს მოწოდებით — გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის და ახალი გაზრდილი ვალდებულებები იკისრეს. კიროველები სიტყვას იძლევიან, რომ ქარხნის საამქროებში ახალი ტექნიკის დანერგვის, საწარმოს შემდგომი რეკონსტრუქციის გზით, აგრეთვე კომპლექსური მექანიზაციით და ავტომატიზაციით შვიდწლედის ბოლოსათვის ორჯერ გაადიდებენ სპეციალური ჩარხების გამოშვებას; შრომის ნაყოფიერების ამაღლების 1965 წლისათვის დაგეგმილ დონეს მიაღწევენ 1964 წელს; ნედლეულის რაციონალური ხარჯვით, დამხმარე მასალების ეკონომიურად გამოყენებით, აგრეთვე რაციონალიზატორთა წინადადებების დანერგვით მიმდინარე წელს დაზოგავენ მილიონ მანეთს, ხოლო შვიდწლედის მანძილზე — 4 მილიონ მანეთს.

კიროველების ინიციატივას იწონებენ ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხეში, მხარს უჭერენ და შეჯიბრებაში ებმებიან ათასები. თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა, რომელიც ივნისის პლენუმის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორია, მხურვალედ დაუჭირა მხარი კიროველების პატრიოტულ თაოსნობას. ელმავალმშენებლები კისრულობენ, რომ 1959 წლის სასაქონლო პროდუქციის გეგმას შეასრულებენ 15 დეკემბრისათვის; გადამეტებით გაანაღდებენ ახალი ტექნიკის დანერგვის წლიურ დავალებას. 1959 წლის ბოლომდე ხელით შრომას შეამცირებენ 6,5 პროცენტით.

ინიციატორებს ბაძავენ და შემოქმედებითი შრომის მაგალითებს იძლევიან ქუთაისის, რუსთავის, ჭიათურის, ტყიბულის, სოხუმის, ბათუმისა და რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ცენტრების ბევრი საწარმოს და მშენებლობის კოლექტივები.

პარტიის მიერ დასახული დიადი ამოცანების შესრულებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზატორულ მუშაობას. არ შეიძლება თვითდინებას მიეცეს საწარმოებში და მშენებლობებზე, საამქროებსა და ბრიგადებში. ღრმად უნდა ჩაუკვირდნენ დროის მოთხოვნებს, შეისწავლონ არსებული მდგომარეობა და შესაძლებლობანი, დასახონ წინსვლის კონკრეტული გზები.

ახლა აღარ შეიძლება მუშაობდე საშუალოდ, უფერულად, უღიმღამოდ; აღარ შეიძლება არც წყალი იყო და არც ღვინო, როცა მუშაობაში არ არის ცეცხლი, არ არის შემართება, როცა არაფერს არ აფუჭებ, მაგრამ არცთუ ბევრ რაიმეს აკეთებ, როცა პრინციპულად არ მოითხოვ სხვებისაგან და არც შენგან მოითხოვენ, არც არავის აკრიტიკებ და არც შენ გაკრიტიკებენ.

ადამიანებს, რომლებიც სიზარმაცეს მიეჩვევნენ, უნდა მოვთხოვოთ, რომ ამოძრავდნენ. უინიციატივო, უქნარა, თავშეუწუხებელი კაცი ჩვენს რიგებს წინ ვერ წასწევს. საკმარისია ჩასთვლემო წუთით, და როცა თვალს გაახელ, ნახავ, რა შორს წასულან ისინი, რომლებიც წუთის წინ შენს გვერდით იდგნენ.

კავისსახნისიანი ჩვენი ქვეყანა ისტორიულად მოკლე დროში იქცა ატომური ენერგიის, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებისა და კოსმოსური რაკეტების ქვეყნად. ახლა საბჭოთა კავშირს ყველა საშუალება აქვს ახალი მძლავრი წინსვლისათვის. და პარტია ვერ შეურიგდება იმას, რომ როცა საბჭოთა რაკეტები მთვარისაკენ მიფრინავენ, ჩვენში არიან საწარმოები, სადაც ორმოცდაათი-ასი წლის წინათ დამზადებული ჩარხები მუშაობენ, სადაც გაბატონებულია ხელით შრომა, სადაც ადამიანებს მძიმე შრომა უხდებათ პროდუქციის შესაქმნელად. მუშა არ უნდა ბუზღუნებდეს დაზგასთან იმის გამო, რომ ეს დაზგა ადამის დროინდელია. ჩვენი ადამიანები ყველგან, ყველა უბანზე, ყველა სამუშაო ადგილზე ხალისით უნდა შრომობდნენ.

პარტიული ორგანიზაციების ვალია დაეხმარონ საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივებს, თვითეულ მშრომელს შეიმუშაოს მეცნიერების, ტექნიკის მიღწევათა ათვისებისა და დანერგვის, საწარმოო რეზერვების უკეთ გამოყენების, ტექნიკური პროგრესის გეგმა, რათა დავაჩქაროთ წინსვლა დიადი მიზნისაკენ.

მთელი ჩვენი ძალები, ენერგია — შვიდწლედის ვადამდე შესრულებას!

მხარს უჭერენ კიროველთა ინიციატივას

ჩარხმშენებლებს უერთდებიან მეშახტეები

ტყიბული. (საკ. კორ.). მეშახტეები ერთსულოვნად უჭერენ მხარს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივის მიმართვას. ლენინის სახელობის შახტში გაიმართა სახელდახელო კრება, რომელიც მიეძღვნა ამ შესანიშნავი ინიციატივის განხილვას. ქარხკომის თავმჯდომარის გ. ლოლაძის ინფორმაციის შემდეგ სიტყვა აიღო მნგრეველმა ი. გორგაძემ.

— ჩვენ, მეხუთე საექსპლოატაციო უბნის მეშახტეები, — ამბობს იგი, — უდიდესი ინტერესით ვადევნებდით თვალს ივნისის პლენუმის მსვლელობას. პლენუმმა განიხილა ისეთი საკითხები, რომლებიც თვითეულ ჩვენგანს აღელვებს. ყველასათვის ცხადია, რომ საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია დაჩქარებს შვიდწლიანი გეგმის დიადი ამოცანების შესრულებას. ამიტომ მხარს ვუჭერთ კიროველთა მიმართვას და ჩვენი ბრიგადის კოლექტივი პირობას იძლევა ქვანახშირის მონგრევის ყოველდღიური დავალება 120 პროცენტით შეასრულოს.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან მეტი ქვანახშირისათვის მებრძოლები ა. დათიაშვილი, ა. გაბრიაძე, შ. ბერიშვილი და სხვ. მათ მოიწონეს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივის მიმართვა და თავის მხრივ იკისრეს გადიდებული ვალდებულებები.

ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა ერთსულოვნად გადაწყვიტა მიმდინარე წლის ქვანახშირის ამოღების გეგმა გაანაღდოს რვა დღით ადრე, გეგმის გადამეტებით ამოიღოს 15 ათასი ტონა ქვანახშირი, სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმა შეასრულოს 106 პროცენტით, ხის სამაგრი მასალისა და ფეთქებადი ნივთიერების ეკონომიურად ხარჯვით, აგრეთვე რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით მიმდინარე წელს დაზოგოს 1,5 მილიონი მანეთი. მეოთხე კვარტალში დადგამენ მაღალი წარმადობის ორ კომბაინს. სამახტო ამწევ მანქანაზე დაამონტაჟებენ ახალ სარეზერვო მაგნიტურ მოწყობილობას, რომელიც შეამცირებს მანქანის მოცდენას. ცენტრალური განიავების ორ ვენტილატორს ავტომატურ და დისტანციურ მართვაზე გადაიყვანენ.

სტალინირის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანამ" ამ დღეებში მე-100 ვიბრომანქანა დაამზადა.

სურათზე: საამწყობო საამქროს ოსტატი კ. ბეტეეი (მარცხნივ) და ამწყობი მ. მებურნუთოვი მე-100 ვიბრომანქანის აწყობისას.

ფოტო ვ. უბოფენკოსი.

მექანიზატორებო, გაუსწორდით მოწინავეებს!

ათ დღეში ავიღოთ მოსავალი

პროგრესული მეთოდებით

თეთრი წყაროს რაიონის ადაბალი ზონის კოლმეურნეობებში პური შეგვიგვიანდა. ქარი რომ დაბერავს, ოქროს თავთავებით დახუნძლული ყანები ზღვასავით იწყებენ ღელვას.

შვიდწლედის პირველ წელს რაიონის მშრომელებმა დიდი შრომა გასწიეს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გასაადიდებლად. ახლა უკვე იმკიან თავიანთ ნაამაგარს.

რაიონის კოლმეურნეობათა შორის პურეულის მკას პირველი შეუდგა სოფელ კოდის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ვ. დალაქიშვილი). აქ წელს შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს, პურეულის მკას შეუდგნენ ახალი, პროგრესული მეთოდით — ორ ფაზად. ამ საქმეშოს პირველად ასრულებენ კომბაინერი ტიგრან დალაქიშვილი, ტრაქტორისტი არმენ ბაღდასაროვი, მეშტურვალე ბახჩო მიკირტუმაშვილი. გუშინ ამხ. დალაქიშვილის აგრეგატმა პურეულის მოსავალი 25 ჰექტარზე გათიბა ნაცვლად 10 ჰექტარისა.

კოლმეურნეები სიხარულით შეჰყურებენ ფართომოდების სათიბ მანქანას, რომელიც პურეულის მოსავალს 4,90 მეტრ სიგანეზე თიბავს. მანქანა ნაწვერალზე გასაშრობად აწყობს გათიბულ პურელს.

აი პურეულის გათიბვის 3-4 დღის შემდეგ სამუშაოდ გამოსულან კომბაინერი ტ. დალაქიშვილი, ტრაქტორისტი ა. ბაღდასაროვი, მეშტურვალე ბ. მიკირტუმაშვილი. ისინი სრული დატვირთვით აბუშავებენ მანქანას და დღეში ღებულენ 20-25 ჰექტარზე აღებულ პურეულს. ამასთან საშუალოდ ჰექტარზე შარშანდელთან შედარებით იღებენ 6-8 ცენტნერზე მეტ მარცვლეულს,

აღსანიშნავია სათიბ მანქანაზე მომუშავე მექანიზატორის გ. პაპაშვილისა და ტრაქტორისტის მ. მატინოვის თავდადებული შრომა. მათი პირობა იყო ღღეში პურეული მოეთიბათ 20 ჰექტარზე, ფაქტიურად თიბავენ 25 ჰექტარზე.

კოლმეურნეობას პურეულის მკა, მარცვლის წმენდა და დანშენლებისამებრ გაგზავნა კარგად მოეწყვია. კალოზე (ბრიგადირი დ. რამაზოვი) მარცვლის წმენდაზე მომუშავეები რამაზ, ნელი ოგანოვები, იზოლდა და მანია დალაქიშვილები, ნელი ირეგამაშვილი მარცვლის წმენდის ყოველდღიურ დავალებას ერთი-ორად ასრულებენ.

კოლმეურნეობა ხორბლის ორ ფაზად (გაყოფით) აღებით დიდად იგებს, ამ პროგრესულმა წესმა საშუალება მისცა პურის მკა 3-4 დღით უფრო ადრე დაეწყოთ.

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ორ ფაზად (გაყოფით) აღებისას პურეულის დანაკარგები ნაკლებია. ერთ კვადრატულ მეტრზე ძლივს ნახავთ 1-2 თავთავს. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობების გამგეობამ და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ კარგი ინიციატივა გამოიჩინეს. მოსავლის აღებასთან ერთად კომბაინს ფეხდაფეხ მიჰყვებიან თავთავების ამკრეფი თამარ ღაღუთაშვილი, თამარ დალაქიშვილი, ლუიზა ნიკოლოზიშვილი, ანა აზატოვა და სხვები. თვითეული მათგანი აკრეფილი თავთავებით ყოველდღიურად კოლმეურნეობას ერთ-ერთნახევარ ფუთ მარცვლეულს მატებს.

კოდელ კოლმეურნეებს კარგად მოუწყვიათ კალო. მექანიზებულ კალოზე ბეკეთად მუშაობენ საშუალო სკოლადამთავრებული ლამარა ოგანოვი, ზინა მალალოვი და სხვები. ისინი წმენდასა და დაბინაგვებას არ აგვიანებენ.

თეთრწყაროელ კოლმეურნეებს შრომა დაუფასდათ, ისინი ხარობენ თავიანთი ნაამაგარით. ყოველდღე ახალი ხორბლით დატვირთული მანქანები მიიჩქარიან ბეღლებისაკენ.

შ. ჰოჰუა.



კომბაინერთა სოციალისტური შეჯიბრება

ლაგოდეხი. **ვლადიმერ ყაველაშვილმა** სოფელ ჭაბუკიანის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობაში 20 ჰექტარი პურეული მომკა და საშუალოდ ჰექტარზე 18 ცენტნერი ხორბალი გალეწა. **ფირუზ რიფამაძემ** სოფელ კალინოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში მომკა 21 ჰექტარი და ჰექტარზე გალეწა 20 ცენტნერი მარცვალი. ხოლო **სერგო ჭაბაშვილმა** სოფელ ცოდნისკარის კოლმეურნეობაში მომკა 18 ჰექტარი და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 18 ცენტნერი.

წითელწყაროო. **გიორგი გუგუნიშვილმა** სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობაში 19 ჰექტარი პურეული მომკა და საშუალოდ ჰექტარზე 22 ცენტნერი ხორბალი გალეწა. **ვლადიმერ ჯავახიშვილმა** „სტალინეც-6" მარკის კომბაინით ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა პურეულის მოსავალი აიღო 20 ჰექტარზე და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 20 ცენტნერი, ხოლო **ნიკოლოზ ბოსტაშვილმა** ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობაში 20 ჰექტარი მომკა და საშუალოდ ჰექტარზე 21 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

მარნეული. **ეფიმ პისარევმა** სოფელ მარნეულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში „სტალინეც-6" მარკის კომბაინით მოსავალი აიღო 15 ჰექტარზე ნაცვლად 10 ჰექტარისა და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 16 ცენტნერი მარცვალი, **შამილ ალახვერდიევმა** — 14 ჰექტარი მომკა და საშუალოდ ჰექტარზე 15 ცენტნერი ხორბალი გალეწა. **ნიკოლოზ სნეგრეევმა** წითელ სოფლის კოლმეურნეობაში მომკა 18 ჰექტარი და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 20 ცენტნერი.

თბილისელთა მაგალითით

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივები მხურვალედ გამოეხმაურნენ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივის ინიციატივას სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

შემოქმედებითი ამაღლებით შრომობს ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივი, რომელმაც ექვს თვეში გეგმის გადამეტებით 4 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია გამოუშვა. კიროველთა მოწოდების პასუხად აქ გადაწყვიტეს კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვით 1964 წელს მიაღწიონ 1965 წლის დონეს წარმოების გადიდებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების დარგში. წელსვე აითვისონ ელექტრობურღების, ტუმბოების, ძრავებისა და სამართავი სადგურების წარმოება, ნედლეულისა და მასალების ეკონომიური ხარჯვით, რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით დაზოგონ 400 ათასი მანეთი, ხოლო შვიდწლედში რესპუბლიკურ ფონდში შეიტანონ 2 მილიონი მანეთი.

ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებისათვის ქარხნის კოლექტივმა იკისრა წლის ბოლომდე საკუთარი ძალებით დაამზადოს სამსხმელო კონვეიერი, განახორციელოს არტეზიული ტომბოების, საწნეო მილების შედუღების ავტომატიზაცია, დანერგოს ნაკადური ხაზები და ამ ღონისძიებათა განხორციელებით პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება 15 დეკემბრისათვის შეასრულოს.

წლიური გეგმა — 7 ნოემბრისათვის

თელავი. (საკ. კორ.). „წოპის გორაზე", რომელიც ალაზანიონის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს, გაცხოველებული მუშაობაა. თეთრად ქათქათა კლდეებს მძლავრი მანქანებით ბურღავენ. ამწვანებს მარმარილოს ვეებერთელა ლოდები ამოაქვთ, ქვისმთლელები მას საჭირო ფორმას აძლევენ. ავტომანქანებით ლოპოტის უბადრო მარმარილო რკინიგზის თელავის სადგურში იგზავნება.

შესვენებაა. მუშები ცადატყორცნილი წიფლების ჩრდილში შეგროვდნენ. აგიტატორმა მათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივის ინიციატივას სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

— პლენუმის დადგენილება, — განაცხადა ქვისმთლელთა ბრიგადის ხელმძღვანელმა უმახვ ბერელიძემ, — ერთხელ კიდევ ადასტურებს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვას ხალხის კეთილდღეობის მკვეთრი აღმავლობისათვის. ამ ზრუნვას ჩვენ მუყაითი შრომით ვუპასუხებთ, მიმდინარე წლის იქვს თვეში წინა წლების ამავე პერიოდთან შედარებით ორჯერ ავამაღლეთ შრომის ნაყოფიერება, ახლა კი ვკისრულობთ წლიური გეგმა შვიდ ნოემბრისათვის შევასრულოთ.

თელავის ფიქალ-მარმარილოს მაღაროთა სამმართველოს კოლექტივს მიმდინარე წლის პირველ ნახევარში თხუთმეტი ათასი ტონა მარმარილოს ფხვნილი უნდა გამოეშვა, ფაქტიურად ოცი ათას ტონასაც არ დასჯერდა.

— პლენუმის დადგენილებამ და მიმართვამ, — განაცხადა ფიქალ-მარმარილოს მაღაროთა სამმართველოს დირექტორმა ა. ვარდოშვილმა, — ჩვენს კოლექტივში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. გადავწყვიტეთ შვიდი ნოემბრისათვის გეგმის ზევით დიდძალი მარმარილო და ფიქალის ფხვნილი გამოვუშვათ.

თბილისელ ჩარხმშენებელთა ინიციატივა ერთსულოვნად მოიწონეს და ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს თელავის ამრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის, ღვინის ქარხნების, ადგილობრივი მრეწველობის და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.



პურეულის ორ ფაზად (გაყოფით) აღება თეთრი წყაროს რაიონის სოფელ კოდის კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. დალაქიშვილი (მარცხნივ), სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი ა. მიკირტუმაშვილი და აგრონომი ა. ბაჯიაშვილი ამოწმებენ პურეულს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების გუბერნატორთა ჯგუფი

7 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში მიიღო ამერიკის შტატების გუბერნატორები, რომლებიც საბჭოთა კავშირში იმყოფებიან: ლ. კოლინზი (ფლორიდის შტატი), დ. კლაიდი (იუტის შტატი), დ. დევისი (ჩრდილოეთ დაკოტის შტატი), ს. მაკნიკოლზი (კოლორადოს შტატი), რ. მაინერი (ნიუ-ჯერსის შტატი), რ. სმაილი (აიდაჰოს შტატი), ლ. ჰოჯესი (ჩრდილოეთ კაროლინის შტატი), აგრეთვე მათი თანმხლები პირები და საუბარი ჰქონდა მათთან, რომლის მსვლელობაში ნ. ს. ხრუშჩოვმა უპასუხა ამერიკელი სტუმრების კითხვებზე.

საუბარში მონაწილეობა მიიღო უცხო ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ა. ჟუკოვმა.

1959 წლის პირველ ნახევარში მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის ზრდის შესახებ

სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, ახორციელებენ რა ნაკისრ ვალდებულებებს შვიდწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, რაც დაუსახავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით, წლის პირველ ნახევარში მიაღწიეს პირუტყვის სულადობის შემდგომ ზრდას, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებას.

ხორცის შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 135 პროცენტით, რძისა — 108 პროცენტით, კვერცხისა — 116 პროცენტით და მატყლისა — 108 პროცენტით.

ხორცი შესყიდულია 2 მილიონ 581 ათასი ტონა (ცოცხალი წონა), ესე იგი 815 ათასი ტონით, ანუ 46 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარში. გასულ ნახევარ წელიწადში ხორცი შესყიდულია თითქმის ერთისამად მეტი, ვიდრე დამზადებული და შესყიდული იყო ამავე პერიოდში 1953 წელს.

რძე შესყიდულია 11 მილიონ 805 ათასი ტონა, ესე იგი 2 მილიონი ტონით, ანუ 20 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარში. გასულ ნახევარ წელიწადში რძე შესყიდულია 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე დამზადებული და შესყიდული იყო 1953 წლის შესაბამის პერიოდში, და 1 მილიონ 159 ათასი ტონით მეტი, ვიდრე მთელ 1953 წელს.

კვერცხი დამზადებულია 4 მილიარდ 331 მილიონი ცალი, ესე იგი 1 მილიარდ 32 მილიონი ცალით, ანუ 31 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარში. გასულ ნახევარ წელიწადში კვერცხი შესყიდულია 1,7-ჯერ მეტი, ვიდრე დამზადებული იყო მთელ 1953 წელს.

მატყლი შესყიდულია 236 ათასი ტონა, ესე იგი 34 ათასი ტონით, ანუ 17 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარში და 1,8-ჯერ მეტი, ვიდრე 1953 წლის შესაბამის პერიოდში.

გასულ ნახევარ წელიწადში მეცხოველეობის დარგში მოპოვებული წარმატებანი იმას მოწმობენ, რომ ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა პირველი დიდი ნაბიჯი გადადგეს იმ დავალებათა ვადამდე შესრულების გზაზე, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

მეჯოქეები

საამო სანახავია ახლა სოფელი მათხოჯი. აქაური მადლიანი მიწა — დაბლობი თუ ბორცვები, ხეივნები და მდინარე ცხენისწყლის ჭალები მწვანე სამოსელშია გახვეული. მნახველის გულს ანარებს მზრუნველობით გარემოსილი ვენახი, ახალაყრილი სიმინდის ყანები და ხავერდოვანი ჩაის ბუჩქები. სოფელში ყველა შვიდწლედის შრომის ფირნიშნში ჩაბმულა.

კოლმეურნეთა შრომითს და პოლიტიკურ აქტივობას სათავეში უდგანან სოფლის კომუნისტები და წარმართავენ მას საწარმოო დავალებათა განსანღდებლად, პირადი მაგალითით, ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებით უზრუნველყოფენ კოლმეურნეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების განაღდებას. წელს გეგმით სახელმწიფოს უნდა ჩაბარდეს 134 ტონა ხარისხოვანი ჩაი. განახლილს რა თავიანთი შესაძლებლობანი, კოლმეურნეები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შეიძლება ოთხო გაადიდონ მოსავლიანობა, გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცენ 21 ტონა ჩაის ნედლეული.

უხვი მოსავლის მიღება დამოკიდებულია პლანტაციის მოვლა-პატრონობაზე, შრომითი რესურსების მაქსიმალურ გამოყენებაზე. ამიტომ არის, რომ კომუნისტებმა თავიდანვე გაიაზეს ბრძოლა ჩაის უხვი მოსავლისათვის.

ასე იყო გასული წლის სექტემბერში. ლია პარტიული კრებაზე, რომელსაც მრავალი კომუნისტი და უპარტიო აქტივისტი ესწრებოდა, მწვავედ დააყენეს ჩაის ოთლის კრეთის წლიური გეგმის შესრულების მიმდინარეობის საკითხი. მომხსენებელი იყო აგრონომიკოსი პ. ჩაკვეტაძე. მაშინ მესამე ბრიგადა სამარცხვინოდ ჩამორჩებოდა გეგმის შესრულებაში. კომუნისტი ბრიგადირი გ. ჩიხლაძე არ ცდილა აეხსნა ჩამორჩენის ნამდვილი მიზეზები. მან უწყინარი შენიშვნები გააკეთა და ზარმაც კოლმეურნეთა მოწონება დაიმსახურა.

თავმჯდომარემ სიტყვა მისცა კომუნისტ გ. ძიძიგურს.

— მისამე ბრიგადაში სოსტია შრომის დისციპლინა, მკრეთალთა დიდი ნაწილი გამოუყენებელია მინდვრის სამუშაოებზე. ზშირად მომისმენია მათი სიტყვები: ჩვენი უფროსების ოჯახების წევრები არ გამოდიან სამუშაოზე. რით არიან ჩვენზე ნაკლები? კითხულობენ ისინი და ამაზე პასუხის გაცემა ბრიგადირ გ. ჩიხლაძეს არ შეუძლია. არც მისი ოჯახის შრომისუნარიანი წევრები იწუხებენ თავს. ეს ცოდი მაგალითია, ამხანაგებო.

— ამავე დროს, — განაგრძო მან, — გამჭვირვალეა, უნდა დაიცალოს შორეული პლანტაციებში მკრეფელთა გადაყვანა ავტომობილებით და მოაწყოს სადილის ადგილზე მიწოდება.

კრებამ მოიწონა გ. ძიძიგურის წინადადება.

კამათში უპარტიო კოლმეურნე ს. საღარეიშვილიც ჩაება. მან მხარი დაუჭირა კომუნისტ გ. ძიძიგურის გამოსვლას და დასძინა: საჭიროა გადაისინჯოს გამომუშავების ნორმები. მოხეტიალს ზშირად დიდ ნორმებს უწესებენ. ახალგაზრდებს კი ნაკლებს. ასეთი შეუსაბამობა უნდა აღიკვეთოს.

პარტიის წევრმა ა. ბობოხიძემ აღნიშნა, რომ № 3, № 4 და № 5 ბრიგადის ბრიგადირები გ. ჩიხლაძე, გ. გალდავაძე, ა. ბარამაძე იმეიათად დადიან პლანტაციებში. ბუჩქები ეკალ-ბარდით არის დაფარული, მოსავალი შემცირდა.

პარტიულმა კრებამ მოიწონა კომუნისტების საქმიანი წინადადებანი, დარაზმა კოლმეურნეთა ძალები ნაკლოვანებათა აღმოსათხრელად.

ახლა იმ ბრიგადის ჩაის პლანტაციაში ვართ, რომლის წევრები შარშან პარტიული კრებიდან დარცხვენილი გამოვიდნენ.

— ბუჩქებს მზრუნველი ხელი არ აკლია, — გვიამბო პარტბიუროს მდივანმა ა. ბობოხიძემ, — დროზე შესრულდა კულტივაცია, გათოხნა, ნიადაგი გაიწმინდა სარეველებისაგან, სათანადო დოზით შეტანილია მინერალური სასუქები. უხვად არის ჩაის ფოთოლი.

ჩაის კრეთის ცხარე დღეებია. ბრიგადის არც ერთი წევრი არ რჩება შინ, დილით ადრე იწყებენ და ვვიან საღამომდე განუწყვეტლივ კრეფენ ფოთოლს.

წულუკიძის რაიონის სოფელ მათხოჯის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა ეჯიბრება წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობას.

ერთ-ერთ კრებაზე სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის საკითხს განიხილავდნენ. კომუნისტებმა მიუთითეს სერიოზულ ნაკლოვანებებზე შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში. არ ეწყობა მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდა. არ ჩანს პოლიტიკური აგიტაციის ისეთი ფორმა, როგორიც არის თვალსაჩინო აგიტაცია. ახლა ესეც მოგვარდა. გაჩნდა შთამაგონებელი ლოზუნგები, პლაკატები, დიაგრამები, სტენდები. გამოჩნდნენ შვიდწლედის ახალი ადამიანები.

ის თუნდაც ნინო ჩიხლაძე, რომლის პლანტაცია გუგული გედენიძის ჩაის პლანტაციას ესაზღვრება. ნინო ხომ გამოცდილი მეჩაიეა. 18 წელიწადია ბუჩქებს უვლის და საამაყოც ბევრი აქვს. ნინო არ ეჯიბრება გუგულის, მაგრამ „საშიშ მეტოქედ“ კი თვლის ახალმოვლენილ მეჩაიეს. ჩუმად გადაავლებს ხოლმე თვალს გუგულის ყანათას, ხომ არ მაჯობაო, და გეზგარეთის განუწყვეტლივ კრეფას.

ნინოს უყვარს გუგული. მართალია, როცა ამ უკანასკნელს გამარჯვების დროშა გადასცეს. მაშინ ოთხრა: დიდხანს არ შეგარჩენ ამ ყილდოს, შედეგი ხვალ ვნახოთო, მაგრამ ეს შორით როდი იყო ნათქვამი. გუგულის წარმატება ნინოს ახარებს ამა თუ არ გამრავლდა წარჩინებულთა რიცხვი მარტო ერთეულები როგორ გადაწყვეტენ დიად შვიდწლედში გათვალისწინებულ გრანდიოზულ ამოცანებს.

მათხოჯელ კოლმეურნეთა ასეთი შრომითი გაჯანსაღება იმის შედეგია, რომ კომუნისტები შრომაში ბიზადი მაგალითის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან. ყოველთვის მოწინავეთა რიგებში დგანან და ალაფრთოვანებენ უპარტიო მასებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად.

ე. ხარებავა.

შეხედეთ, რა დიდი ინტერესით მუშაობს თბილისის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოს — „ელექტროგამშვების“ კომკავშირული ამწყობი ნელი მაგლაკვერიძე. სულ სხვა იყო ერთი წლის წინათ, როდესაც იგი საშუალო სკოლიდან ქარხანაში მოვიდა. არც ისე იოლი გამოდგა სამუშაო, როგორც ეს გოგონას ოცნებაში ესახებოდა. ახალბედა მუშას მხარში ამოუდგნენ გამოცდილი ამხანაგები. ახლა ნელი ბევრს არ ჩამოუვარდება მუშაობაში. იგი ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

სურათზე ნ. მაგლაკვერიძე.
ფოტო ვლ. გინზბურგისა.

კომუნისტები შრომის მოწინავე პოზიციებზე

გეგმების შესრულება

გეგეჭკორი, რაიონის მეგობრშემეგობა შვიდწლედის პირველ წელს სასახელოდ იმუშავეს აბრეშუმის პარკის დამზადების საქმეში. ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.758 ცენტნერისა დაამზადეს 1.983 ცენტნერი აბრეშუმის პარკი.

დაწინაურდა სოფელ გაჭედილის კოლმეურნეობა. აქ დაამზადეს 5.415 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 3.200 კილოგრამისა. ასევე კარგად იმუშავა სოფელ გეგეჭკორის კოლმეურნეობა „ოქტომბერმა“.

მოწინავე მეაბრეშუმემ ვერა წოწორიამ 24 გრამი მურიდან მიიღო 144 კილოგრამი ხარისხოვანი აბრეშუმის პარკი ნაცვლად 50 კილოგრამისა, ხოლო ლიანა ბებიავამ 24 გრამიდან — 141 კილოგრამი პარკი ნაცვლად 45 კილოგრამისა.

სამგორის რაიონმა 6 ივლისისათვის აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა 102 პროცენტით გაანღდა. დამზადებულია 27.958 კილოგრამი პარკი ნაცვლად 24.400 კილოგრამისა.

აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება.

სურნელოვან ჩაის დაამზადებენ ავტომატები

გათუმის ჩაის ფაბრიკაში დიდი შრომითი აღმავლობაა. ფაბრიკის კოლექტივი გულდასმით სწავლობს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მასალებს. პლენუმის დადგენილებით აღფრთოვანებული მუშები და მოსამსახურეები ძალღონეს არ ზოგავენ, რათა წარმატებით შეასრულონ ნაკისრი ახალი ვალდებულებები.

— ჩვენმა ფაბრიკამ წელს გეგმის მიხედვით 1.970 ათასი კილოგრამი ნედლეულია უნდა გადამუშაოს, — განაცხადა ფაბრიკის დირექტორმა გ. პეშკოვმა, — რა თქმა უნდა, ეს მეტად სერიოზული ამოცანაა, მაგრამ ფაბრიკის კოლექტივმა ერთსულოვნად გადაწყვიტა პლენუმის დადგენილების საპასუხოდ კიდევ უფრო გადიდებული ვალდებულებები იკისროს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ წლის ბოლომდე 2 მილიონი კილოგრამი ნედლეულის გადამუშავება შევძლოთ.

ბათუმის ჩაის ფაბრიკაში უახლოეს ხანში დაიდგმება ახალი სისტემის საღრობი ჯრეგატები და როლერები. დაინერგება ჩაის გადამუშავების ტექნოლოგიის განუწყვეტელი ხაზი, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს პროდუქციის ხარისხს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა ტექნიკური პროგრესის ფართო და ნათელი პერსპექტივები დასახა. ფაბრიკის მუშამოსამსახურეები გულდასმით ეცნობიან პლენუმის მასალებს და ახალ-ახალ ღონისძიებებს სახავენ ფაბრიკის სრული ავტომატიზაციისა და მექანიზაციისათვის. მათ ნათლად აქვთ შეგნებული, რომ ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელება გადამწყვეტ წინაპირობას წარმოადგენს შვიდწლედის დიადი ამოცანების წარმატებით შესასრულებლად.



მომდინარე შვიდწლედში მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა გადიდდება 80 პროცენტით. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის ახლანდელი მრეწველობის გვერდით შვიდი წლის მანძილზე შეიქმნება თითქმის არსებულის ტოლი ახალი მრეწველობა.

რეკორდული ბრიგადა

ბაღდათი. (ბაღ. ტელ.). ბრიგადა ალექსანდრ ბაბაიანის ბრიგადა ბაღდათის ბამბეულობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბაღის ბრიგადა ბამბის ნაადრევ ფოთლებზე ბამბის ბუსუსებს ბამბის ბუსუსებს ბამბის ბუსუსებს

თანამედროვეობისათვის, მაღალი ოსტატობისათვის

ამას წინათ გაიმართა თეატრალურ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც მოიწვიეს „კულტურის სამინისტრომ, მწერალთა კავშირმა და საქართველოს სსრ თეატრალურმა საზოგადოებამ. თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა, დრამატურგებმა, კომპოზიტორებმა, მხატვრებმა, რეჟისორებმა, მსახიობებმა, პარტიელი. საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ **გ. ფოფხაძემ.**

მოხსენება „1958-1959 წლების თეატრალური სეზონის შედეგები და ხელოვნების მუშაკთა ამოცანები სსრ კავშირის მწერალთა III ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის მიხედვით“ გააკეთა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა **დ. ჩხეიძეშვილმა.** მოხსენება „1958-1959 წლების თეატრალური სეზონის დრამატურგია“ გააკეთა საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის მდივანმა **ბ. ჟღენტმა.**

XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას საბჭოთა კავშირის მწერალთა მესამე ყრილობაზე, აღნიშნა ამხ. ჩხეიძეშვილმა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა თეატრალური ხელოვნებისათვის. პარტიის XXI ყრილობის შემდეგ საქართველოს თეატრებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს თავიანთი რეპერტუარების ისეთი ნაწარმოებებით გამდიდრებაში, რომლებიც მიძღვნილია შესანშიშავი საბჭოთა სინამდვილისადმი, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანებისადმი, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის მებრძოლებისადმი. თუ 1957-1958 წლების სეზონში რესპუბლიკის თეატრებმა უჩვენეს თანამედროვე თემატიკისადმი მიძღვნილი 19 პიესა, მიმდინარე სეზონში ასეთი პიესა 46 დაიდგა. შემოქმედებითი კოლექტივები დიდ ყურადღებას უთმობენ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონებს მომსახურებას. ისინი აქტიურად მონაწილეობენ კულტურის უნივერსიტეტების მოწყობაში.

რესპუბლიკის ბევრი თეატრი დგამს სპექტაკლებს, რომლებიც მოსწონს მაყურებელს. მათ შორის უნდა აღინიშნოს ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრი, რომლის შემოქმედებითი საქმიანობის ზრდაში დიდი როლი შეასრულა თეატრის მხატვრულმა ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ვასაძემ.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო რესპუბლიკის თეატრების წამყვან კოლექტივებს. საქართველოს თეატრალური კულტურის დონეს, თქვა მან, ძირითადად რუსთაველის სახელობისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრები განსაზღვრავენ. ისინი ტონს აძლევენ რესპუბლიკის თეატრებს და ზშირად ახორციელებენ ისეთ დადგმებს, რომლებიც დიდ ავალს ტოვებენ საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში. წარსულ სეზონში ორივე თეატრში ძირითადად დამკვიდრდა ქართული საბჭოთა დრამატურგია. რუსთაველის სახელობის თეატრში, სადაც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ „უადგილმზმი“ დევნიდა რეპერტუარიდან ორიგინალურ ეროვნულ დრამატურგიას, განხორციელებულია მთელი რიგი სპექტაკლები თანამედროვე თემებზე, რომლებიც ყურადღების ღირსია. მაღალი პროფესიონალი დონით დაიდგა სპექტაკლები თანამედროვე თემებზე მარჯანიშვილის სახელობის თეატრშიც. ორივე თეატრის დადგმებს ნაკლიც აქვს, მაგრამ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს ნაკლი ახლო მომავალში აღმოიფხვრება.

ახალი დადგმებიდან ყველაზე კარგად შეიძლება ჩაითვალოს ცაო იუის „ტაიფუნის“ დადგმა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, პ. კოპოტის „როცა ასეთი სიყვარულია“ რუსთაველის სახელობის თეატრში. უკანასკნელი პიესა მკაფიოდ მოწმობს იმ ფორმებისა და შესაძლებლობათა მრავალფეროვნებას, რომლებიც შეიძლება ჰქონდეთ დრამატურგებს ნაწარმოებთა შესაქმნელად თანამედროვე თემებზე.

აღინიშნა, რომ თეატრები ნაკლებად უთმობენ ყურადღებას რუსული და ქართული დრამატურგიის კლასიკოსთა ნაწარმოებებს, მოძმე რესპუბლიკების თანამედროვე ლიტერატურას.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ ამ უკანასკნელ ხანს მუშაობა გააუმჯობესა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა. რამდენიმე წლის წინათ ოპერების დადგმა ნებიერმა საყვედური გამოთქვა იმის გამო, რომ თეატრებს მჭიდრო კონტაქტი არა აქვთ მწერლებთან.

ამხ. ჟღენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მაღალი შეფასება, რომელიც ქართულ პიესებს საბჭოთა მწერლების III ყრილობამ მისცა, ბევრ რამეს გვავალებს, იგი ამბობს, რომ ქართველ პოეტთა და მწერალთა ნაწარმოებები უფრო მიტად ითარგმნება უცხო ენებზე. სასურველია, რომ ჩვენმა პიესებმა ნახონ მსოფლიოს სცენები.

მოხსენებათა შემდეგ გაიმართა ქამათი.

სიტყვა პირველმა აიღო რუსთაველის სახელობის თეატრის მხატვრულმა ხელმძღვანელმა **დ. ალექსიძემ.** მან მოიწოდა მწერლებს შექმნან ახალი დრამატურგია, დიდი ამრის, მკაფიო, მგზნებარე ხასიათების დრამატურგია, გამონახონ ახალი ფორმები. თუ ასეთი დრამატურგია არ ექნება, ამბობს იგი, თეატრი ჩაკვდება, დაშკვნება. ამბ. ალექსიძემ აღნიშნა, რომ მავნებელია პიესების წერა თეატრში რეჟისორების მონაწილეობით. მან ილაპარაკა ახალგაზრდა მწერლებზე, იმაზე რომ გაძლიერდა თეატრის კავშირი ხალხთან.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მხატვრულმა ხელმძღვანელმა **ვ. ანჯაფარიძემ** აღნიშნა, რომ თანამედროვე დრამატურგია ვერ აკმაყოფილებს საბჭოთა თეატრების მოთხოვნებს. ეს საკითხი ეხება საქართველოსაც. თეატრის აღმავლობა შესაძლებელია მხოლოდ სრულფასოვანი თანამედროვე პიესების შექმნით. მარტო კლასიკოსების კარგი დადგმა არ არის თეატრის ზრდის საზომი, მაჩვენებელი. მან გააამახვილა თათბირის მონაწილეთა ყურადღება იმაზე, რომ საჭიროა ვეძებოთ ჩვენი თეატრის შემოქმედებითი სახე, იმაზე, რომ შეიქმნას მხოლოდ ამა თუ იმ თეატრისათვის შესაფერისი რეპერტუარი.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ა. ხორავამ** თავის გამოსვლაში დიდი ყურადღება დაუთმო იმას, რომ კარგ გაძლიერდეს საზოგადოების მუშაობა რესპუბლიკის თეატრების კოლექტივებისათვის დახმარების გაწევაში.

ქუთაისის თეატრის მხატვრულმა ხელმძღვანელმა **ა. ვასაძემ** დიდი ადგილი დაუთმო თეატრის ურთიერთობას დრამატურგებთან, თეატრალურ ახალგაზრდობასთან, რომლის აღზრდა უფროსი თაობის უღიერსად პასუხსაგები ამოცანაა. მან ილაპარაკა ქართული ეროვნული თეატრალური კულტურის მემკვიდრეობაზე, რომლის შესწავლაც საჭიროა თეატრების შემდგომი მუშაობისათვის.

დრამატურგმა **მ. მრევლიშვილმა** აღნიშნა, რომ თეატრალურ მოღვაწეთა გამოსვლებში არ ყოფილა კონკრეტული საქმიანი წინადადებანი ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხში, როგორიც არის დრამატურგიის განვითარება. საქმიან კრიტიკას თან უნდა ახლდეს საქმიანი კონკრეტული წინადადებანი. ეს დაგვეხმარება ჩვენ, დრამატურგებს, ისეთი პიესების შექმნაში, რომლებსაც მაყურებელი მოელის.

ქართული საბჭოთა თეატრის განვითარების წლებში უდიდეს რეჟისორებს, განადგურმა მან, გადამწყვეტი სტიკვა ეკუთვნოდათ დრამატურგიაში, დამკვიდრდა ორიგინალური ახალი რეჟისორისა დრამატურგის შემოქმედებაში, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ამ ჟანრის განვითარებაზე. ამიტომ ზოგიერთი დრამატურგი ახლა უხალისოდ ჭიდებს ხელს ახალ ნაწარმოებს.

ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორმა **დ. მჭედლიძემ** ილაპარაკა თეატრის მუშაობის პერსპექტივებზე, იმ მიზეზებზე, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენს კომპოზიტორებს შექმნან ოპერები თანამედროვე თემებზე.

ხუთი წელია ბათუმის თეატრში არ არის ახალგაზრდა გმირი ქალის როლის შემსრულებელი, აღნიშნა თავის სიტყვაში ამ თეატრის მხატვრულმა ხელმძღვანელმა **მ. ხინიკაძემ.** ჩვენს თეატრში სამუშაოდ დანიშნული მსახიობები სხვა თეატრებში აღმოჩნდებიან ხოლმე. მან ილაპარაკა თეატრის სხვა საჭიროებებზე, რომლებიც ხელს უშლიან მის შემოქმედებითს მუშაობას და კოლექტივის ზრდას.

ქამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე რუსთაველის სახელობის თეატრის მთავარმა მხატვარმა **დ. თავაძემ,** რომელმაც ილაპარაკა თეატრების მხატვრული გაფორმების მდგომარეობაზე, დრამატურგმა **ვ. პატარაიამ,** რომელმაც აღნიშნა თანამედროვე დრამატურგიისა და მწერალთა კავშირის ამოცანები, თეატმცოდნე **დ. ჯანელიძემ,** რომელმაც აღნიშნა რუსპუბლიკის თეატალური ცხოვრების მთელი რიგი ნაკლოვანებანი. (საქმესი).

აკროპოლის რაინდმა უნდა იცოცხლოს!

დღეს გლეზოსს ასამართლებენ

შევაჩეროთ ჯალათის ხელი

★ ★

თავისუფლება საგერძნეთის ეროვნულ გმირს მანოლის გლეზოსს!

საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭო სსრ კავშირის მილიონობით მუშისა და მოსამსახურის სახელით მტკიცე პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ უნდა გაასამართლონ ბერძენი ხალხის სახელოვანი შვილი, საბერძნეთის ფაშისტური დამონების წინააღმდეგ ბრძოლის თავდადებული გმირი, საბერძნეთის ერთ-ერთი აქტიური პროგრესული მოღვაწე მანოლის გლეზოსი.

გლეზოსის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებანი არაფრით არ არის დასაბუთებული, ისინი გამოგონილია და გამოხატავენ მხოლოდ მისწრაფებას ანგარიში გაუსწორონ საბერძნეთის მშვიდობისა და დემოკრატიული განვითარებისათვის ერთ-ერთ თვალსაჩინო მებრძოლს. ისინი მოწმობენ იმას, რომ ცდილობენ პოლიტიკური ბრძოლის მეთოდები შეცვალონ სასამართლოს და პოლიციის უკანონო მოქმედებით, რომელიც საფრთხეს უქადის ბერძენი ხალხის ეროვნული გმირის სიცოცხლეს.

საბჭოთა მშრომელები მრავალი წერილით, დეპეშით და კრებების რეზოლუციით მტკიცე პროტესტს აცხადებენ მანოლის გლეზოსის ამ სამარცხვინო დევნის წინააღმდეგ მისი პოლიტიკური რწმენისათვის და მთელი ხმით მოითხოვენ მის განთავისუფლებას და შეთითხნილი ბრალდების მოხსნას.

გამოხატავს რა საბჭოთა მშრომელების ნებას, საკავშირო პროფსაბჭო მტკიცედ მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყდეს სახელოვანი ბერძენი პატრიოტის მანოლის გლეზოსის კანონის საწინააღმდეგო დევნა.

თავისუფლება საბერძნეთის ეროვნულ გმირს მანოლის გლეზოსს!

საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭო.

„სასამართლო“ ბრალდებულთა სკამზე.
ნახატი ბორ. ეფიმოვისა.

საბჭოთა მწერალთა ხმა

უდიდესი სელიერი ტკივილისა და შეშფოთების გრძნობით შევიტყეთ ჩვენ, საბჭოთა მწერლებმა, ამბავი, რომ საბერძნეთის სამხედრო სასამართლომ უნდა განიხილოს ეგრეთწოდებული „მანოლის გლეზოსის საქმე“. შამაც ანტიფაშისტს, შესანიშნავ პატრიოტს, რომელმაც თავის სახალხო სახელი გაითქვა ჰიტლერელ ოკუპანტთა წინააღმდეგ მისი გმირული ბრძოლის დღეებში. სიკვდილის საფრთხე მოელის. ეს ცნობა ისე საშინლად უეზოოა, რომ ავადმყოფი ფანტაზიის ნაყოფი გვგონია. მას ვერ ურიგდება ალეგორიობის ვერც გონება და ვერც სინდისი.

ჩვენ — ადამიანებს, რომელებმაც ცხოვრების მრავალი წელი მოვანდომეთ ლიტერატურულ შრომას, მანოლის გლეზოსი მიგვაჩნია საბერძნეთის ეროვნულ გმირად, რომელიც ქვების ღირსია. არ გვჯერა. ვერ დავიჯერებთ, რომ იგი არ გაათავისუფლონ. თუ მოხდა გლეზოსის გასამართლება, წარუხოცელი სირცხვილი მოვალენება საკუთრივ იმათ სახელებს, ვისაც შეეძლო და არ ისურვა შეეჩერებინა ჯალათის ხელი.

სამართლიანობისა და ადამიანების სახელით ვიმეორებთ ხმას გლეზოსის დასაცავად. ჩვენ მიმართავთ საბერძნეთის მთავრობას, ბერძენ ხალხს, ყველას, ვისთვისაც პატიოსნებისა და ეთიკურობილების ცნება ცარიელი ბგერა არ არის, გულის სიღრმიდან ამოხეთქილი მოწოდებით თავდად ააცილოს დაღუპვა ჩვენს ერთ-ერთ საუკეთესო და უპატიოსნეს თანამედროვეს.

გლეზოსის სიცოცხლე გადარჩენილ უნდა იქნას!

კ. ფედინი, მ. შოლოხოვი, ლ. ლეონოვი, ა. ტვარდოვსკი, ნ. ტიხონოვი, ლ. სობოლევი, ნ. პოგოდინი, ი. ერენბურგი, ბ. პოლევოი, მ. ისაკოვსკი, ვ. კატაევი, ს. შჩიპაჩოვი, ს. მარშაკი, თ. პანფეროვი, ა. კორნეიჩუკი, მ. ტურსუნ-ზადე, ნ. გრიბაჩოვი, პ. ბროვკა, ა. სურკოვი, ი. აბაშიძე, გ. მარკოვი, კ. პაუსტოვსკი, ნ. ბაჟანი, ა. არბუზოვი, ლ. კასილი, მ. აუეზოვი, კ. სიმონოვი, ლ. ნიკულინი, ი. ანდრონიკოვი, ე. პოპოვკინი, ა. ჩაკოვსკი.

მეცნიერების მთაში

ამას წინათ ყაზბეგის რაიონს ესტუმრა ექიმთა დახელოვნების თბილისის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა დიდი ჯგუფი. აქ მოეწყო ექიმთა საერაონთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. აღსანიშნავია, რომ ამ მაღალმთიან რაიონში სამეცნიერო კონფერენცია ასეთი დიდი მასშტაბით პირველად მოეწყო.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს პროფესორებმა დ. მამამთავრიშვილმა, დ. შოთაძემ, გ. აბაშიძემ, ლ. ანჯაფარიძემ, ე. ცინცაძემ, ნ. მეგრელიშვილმა, გ. ადამიამ, გ. ბოკერიამ, ნ. კამალოვმა, გ. მესტიაშვილმა. დოცენტმა ვ. ლეკიშვილმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. დემეტრაძემ და სხვებმა.

სხდომაზე მოსმენილ იქნა პრაქტიკული და თეორიული მედიცინის აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი მოხსენებები, რომლებმაც დამსწრე ექიმთა დიდი ინტერესი გამოიწვია. მოხსენება წაიკითხა აგრეთვე ყაზბეგის რაიონული საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ცსაბაურმა. მან აღნიშნა, რომ მოსახლეობის კულტურული და მატერიალური დონის და აქ მომუშავე ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით საგრძნობლად იკლო ქირურგიულ დაავადებათა რიცხვმა. ყაზბეგის რაიონის ჯანდაცვის განყოფილების გამგემ და რაიონული საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ვ. ბაზალიმ აღნიშნეს, რომ თუ რევოლუციამდე ყაზბეგის რაიონს ერთი ფერშალი ემსახურებოდა, დღეს მას 22 მაღალკვალიფიციური ექიმი ემსახურება, გაიზარდა საწოლების რიცხვი, გაიხსნა მრავალი საექიმო უბანი.

კონფერენციის მუშაობა ზამთრის საძოვრებიდან ცხვრის საზაფხულო იალაღებზე გადაყვანას დაემთხვა. ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები რამდენჯერმე ეწვივნენ მეცხვარეებს, გაუმართეს საუბრები ტრავმატიზმის, ინფექციურ და შინაგან სნეულებათა პროფილაქტიკაზე და სხვ.

დიდი სიხარული გამოიწვია ყაზბეგის მოსახლეობაში და მეცხვარეებში ასისტენტ ო. მამამთავრიშვილის მიერ კარგად შესრულებულმა ოპერაციამ, რომელიც გაუკეთდა მეცხვარეს ნაწლავთა მწვავე გაუვალობის მძიმე ფორმის გამო.

შორეულ რაიონებში მსგავსი ხასიათის სამეცნიერო კონფერენციები ხელს შეუწყობს ადგილზე მომუშავე ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლებას, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას.

რ. იაშვილი.

პოპულარული ნაშრომი მარქსისტულ ფილოსოფიაზე

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

დ. კალანდაძის წიგნი „მატერიალიზმი და იდეალიზმი“, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა, მკითხველთა ფართო წრისათვის არის განკუთვნილი და მიზნად ისახავს პოპულარული ფორმით გადმოსცეს ფილოსოფიაში ორ ბანაკს შორის ბრძოლის მთავარი საკითხები. ავტორი მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის ბრძოლას განიხილავს ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ისტორიის ფონზე, ამასთან მეთოდური მოსაზრებით მატერიალისტური და იდეალისტური მიმართულებანი ცალ-ცალკე არის გამოყოფილი.

შრომა ხუთი თავისაგან შედგება. პირველ თავში გარჩეულია ფილოსოფიის ძირითადი საკითხი და მისი ორი მხარე. ნაჩვენებია ამ საკითხში იდეალიზმისა და მატერიალიზმის დაპირისპირებულობა. ხაზგასმით მითითებულია, რომ იდეალიზმი რელიგიასთან მჭიდრო კავშირში იმყოფება, ამიტომ იგი არა მარტო მატერიალიზმთან არის დაპირისპირებული, არამედ მეცნიერებასთანაც.

წიგნის მეორე თავში განხილულია იდეალიზმის სახეები: ობიექტური და სუბიექტური იდეალიზმი. ავტორი საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს თანამედროვე იდეალისტურ ფილოსოფიურ მიმართულებათა (პრაგმატიზმი, ნეოპოზიტივიზმი, სემანტიკური იდეალიზმი) კრიტიკას. თანამედროვე იმპერიალისტური ბურჟუაზია თავისი ბატონობის სამსახურში აყენებს არა მარტო სუბიექტურ-იდეალისტურ ფილოსოფიას და ამ მიზნით აღადგენს ბერკლისა და მახისტების რეაქციულ შეხედულებებს, იუმის და კანტის აგნოსტიციზმს, არამედ ფართოდ იყენებს აგრეთვე ობიექტურ-იდეალისტურ და შუა საუკუნეების მისტიკურ-სქოლასტიკურ მიმართულებასაც, ორძოდ, თომა აქვინელის მოძღვრებას.

შრომის მესამე თავში გადმოცემულია მარქსამდელი მატერიალისტური ფილოსოფიის განვითარების მთავარი ეტაპები. დახასიათებულია ძველი დროის მატერიალიზმი, ახალი დროის მექანისტური და მეტაფიზიკური მატერიალიზმი, რუსული კლასიკური მატერიალისტური ფილოსოფია. დიდი რუსი მატერიალისტების — ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის იდეურმა მემკვიდრეობამ დიდი როლი ითამაშა თავისუფლებისა და პროგრესისათვის ბრძოლაში. ამ დიდი მოაზროვნეების ტრადიციებზე აღიზარდა ახალი, ნამდვილი ჭეშმარიტი რევოლუციონერების — რუსი მარქსისტების მთელი თაობა.

ავტორი წიგნის მეოთხე თავში საგანგებოდ ეხება მარქსისტული ფილოსოფიის წარმოშობის საკითხს. მარქსისა და ენგელსის ფილოსოფიური მოძღვრება — ეს იყო უდიდესი თვისობრივი ნახტომი, რევოლუციური გადატრიალება აზროვნებაში. ეს იყო ფილოსოფიისა და მეცნიერების განვითარების უმაღლესი ეტაპი, რომელიც კაცობრიობის აზროვნებამ მოამზადა.

შრომაში განხილულია ფილოსოფიური მატერიალიზმის ძირითადი პრინციპები: სამყაროს მატერიალური ერთიანობა, მატერიის პირველადობა, ცნობიერების მეორადობა, სამყაროს კანონზომიერების შეცნობადობა. წიგნში ძალიან საინტერესოდ და დამაჯერებლად არის გადმოცემული პრაქტიკის როლი შემეცნების პროცესში.

შრომის უკანასკნელი, მეხუთე თავის დედაარსს შეადგენს იმ დებულების განვითარება, რომ მარქსისტული ფილოსოფია სამყაროს გარდაქმნის ფილოსოფიაა. კომუნისტური პარტიის სტრატეგია და ტაქტიკა, მისი მოქმედების პროგრამა ემყარება სინამდვილის მეცნიერულ შემეცნებას. პარტიის გენერალურ ხაზს საფუძველად უდევს დიალექტიკური მატერიალიზმი. სოციალისტური იდეოლოგია, ვკითხულობთ წიგნის დასკვნითს ნაწილში, ღრმად მეცნიერულია და მთელი თავისი არსებით მიმართულია ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომელიც ყალბი შემეცნების თეორიასა და რელიგიური ცრუმორწმუნეობის საფუძველზე აგებული.

დ. კალანდაძის წიგნს დადებით მხარეებთან ერთად ცალკეული ხარვეზებიც აქვს. მაგალითად, სათანადოდ არ არის გარკვეული თანამედროვე ბუნებათმეცნიერების ფილოსოფიური საკითხები. გარდა ამისა, არაფრით არ არის დასაბუთებული ის გარემოება, რომ ავტორი ფილოსოფიის ისტორიის მოკლე გადმოცემას იწყებს იდეალიზმის დახასიათებით. ეს მით უმეტეს გაუგებარია, როდესაც თვითონ ავტორი წიგნის 72-ე გვერდზე წერს, რომ „იდეალიზმის ფართო და საფუძვლიანი კრიტიკა შესაძლებელია მხოლოდ მარქსამდელ და, კერძოდ, მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის ძირითადი ნიშნების გადმოცემის საფუძველზე“, რომ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ იდეალიზმი მოასწრებდა ფილოსოფიურ მიმართულებად გაფორმებასა და „მეცნიერების“ სამოსელში გახვევას, ბევრგან მატერიალისტური შეხედულებანი უკვე ჩამოყალიბებული და გაფორმებული იყო.

დ. კალანდაძის პოპულარული ნაშრომი, მიუხედავად ცალკეული ნაკლოვანებებისა, კარგად უპასუხებს მიზანს, რომელიც ავტორს დაუსახავს.

საერთოდ მისასალმებელია, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია მეცნიერულ-პოპულარული სერიის სახით მთელ რიგ სასარგებლო წიგნებსა და ბროშურებს აქვეყნებს, რომლებიც ხელს უწყობენ მშრომელთა მასებში მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის ფართოპროპაგანდას.

დოცენტი ნ. ცხაკაია.

300.000 დამთვალიერებელი ერთ კვირაში

ნიუ-იორკი, 7 ივლისი (**საკ დ ეხის კორ.**). დამთავრდა პირველი კვირა მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგში საბჭოთა ყაზარის მიღწევათა გამოფენის მუშაობისა, რომელიც მოთავსებულია ნიუ-იორკის უდიდეს საგამოფენო შენობაში „კოლიზეუმში“. განვლილი პირველი კვირის მანძილზე გამოფენა დაათვალიერა სულ ცოტა 300 ათასამდე ამერიკელმა.

ძნელია გამოვყოთ რომელიმე ექსპონატი, რომელიც სხვებზე უფრო მეტად იზიდავს დამთვალიერებელთა ყურადღებას. მათ ყველაფერი აინტერესებთ ხოლმე: დედამიწის საბჭოთა თანამგზავრები და კოსმოსური რაკეტის მოდელი, ჩარხები და სამეცნიერო ხელსაწყოები, საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრება.

დიდ ინტერესს იწვევს დამთვალიერებლებში განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებები. აქ შეხვდებით სულ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს: მუშებს, მასწავლებლებს, ექიმებს, სტუდენტებსა და სხვ. განათლების განყოფილებაში ყველაზე მეტი გამოცოცხლებულა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის მაკეტთან, რომელიც შესრულებულია თეთრი პლასტიკური მინისაგან.

ხანშიშესული ამერიკელი, რომელიც გამოფენაზე მოვიდა თავის შვილთან — კოლუმბიის უნივერსიტეტის სტუდენტთან ერთად, ეკითხება, რამდენი უნდა გადაიხადონ საბჭოთა მოქალაქეებმა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლისთვის, და, კერძოდ, მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლისთვის. როცა მესტენდე განუმარტავს, რომ საბჭოთა კავშირში სწავლა უფასოა, რომ ყოველ საბჭოთა მოქალაქეს შეუძლია შეეფიდეს საბჭოთა ქვეყნის ყოველ სასწავლებელში, მსმენელთა საჯარო გაკვირვებისა და გაოცების გამომეტყველება ჩნდება. ამ კითხვის მიმცემი აქვე ამბობს, რომ კოლუმბიის უნივერსიტეტში თავისი შვილის სწავლისათვის იგი ყოველწლიურად იხდის ათასამდე დოლარს, და რომ, რათა შვილს მისცეს განათლება, იძულებული ყოფილა გაჭირვება გადაიტანოს.

ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების დამთვალიერებლებიც იძლევიან მრავალ შეკითხვას, რომლებიც მოწმობენ, რომ ისინი არ იცნობენ საბჭოთა კავშირის ცხოვრებას. მაგალითად, იძლევიან კითხვას, რამდენი ოჯახია საბჭოთა ადამიანებს საავადმყოფოებში მკურნალობა, რამდენს უხდიან ისინი ექიმს ვიზიტში, რა ღირს ესა თუ ის ქირურგიული ოპერაცია და სხვ. მესტენდეების პასუხი, რომლებიც განუმარტავენ, რომ საბჭოთა საავადმყოფოებში უფასოდ მკურნალობენ, რომ საბჭოთა ადამიანებს კურორტების საჯაზურები იძლევათ მათ ღირებულებაზე დაბალ ფასებში, კვლავ აღტაცებას და გაკვირვებას იწვევს. ბევრი დამთვალიერებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მათ ქვეყანაში უმარტივესი ქირურგიული ოპერაცია ასობით დოლარი ჯდება, რომ აცრისთვისაც კი მათ ფული უნდა იხადონ.

საბჭოთა გამოფენის მუშაობის პირველ დღეებში მოწმობენ ამერიკის საზოგადოებრიობის უდიდეს ინტერესს საბჭოთა ხალხის მიღწევებისადმი, უბრალო ამერიკელთა მისწრაფებას იცოდნენ სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ. ამას მკვლევრმეტყველურად მოწმობს მრავალი ჩანაწერი შთაბეჭდილებათა წიგნში. ამ წიგნებში თითქმის ყოველ გვერდზე შეგიძლიათ წაიკითხოთ სიტყვები: „საუცხოო გამოფენა! მოგილოცავთ უმაღლეთო მიღწევებს!“ მაგრამ არის ისეთი ჩანაწერებიც, რომლებიც მოწმობენ, რომ მათი ავტორები მოწამლული ფაშისტური ბოროტებით. ერთ-ერთი მცხოვრები წერს: „მათ არ სჯერათ ის, რასაც თქვენ უამბობთ. საეჭვოდ მიაჩნიათ ის, რასაც თქვენ უჩვენებთ. მაგრამ ჩვენზე, ამერიკელებზე, თქვენმა განათლების სისტემამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ჩვენ გვწამს, რომ ოახლოს მომავალში, როცა ჩვენ მოვიხილავთ დამოუკიდებლობას და მოვიშორებთ დასავლეთის იმპერიალიზმის ბორკილებს, ჩვენ კიდევ უფრო მეტს გავიგებთ თქვენს შესახებ. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!“

დღეს გამოფენის დირექციას ეწვია ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ჩიკაგოს საბჭოს წევრთა დიდი ჯგუფი, რომელიც ჩამოვიდა ნიუ-იორკში, რათა გაცნობოდა საბჭოთა გამოფენას. გაუზიარა რა გამოფენაზე მიღებული შთაბეჭდილებანი, საბჭოს მდივანმა ლ. ოლინსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა გამოფენა დიდად შეუწყობს ხელს იმას, რომ რიგით ამერიკელებს სწორი წარმოდგენა ჰქონდეთ საბჭოთა კავშირზე, რომ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ასეთი გამოფენების გაცვლის თვით იდეა გაძლიერებს ამერიკელი ხალხის მისწრაფებას საბჭოთა კავშირის ხალხებთან მშვიდობისა და მეგობრობისადმი.

ვ. კოლოკოლნიკოვი

კ. ე. ვოროშილოვს

კ. ე. ვოროშილოვს და სთხოვს გადასცეს საბერძნეთის მთავრობას მოთხოვნა — გათავისუფლოს მანოლის გლეზოსი.

შორეულ რეისშია ტანკერი „მოლოდეჩნოს“ ეკიპაჟი. დეპეშაში მეზღვაურები თავიანთ ხმას უერთებენ საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალების ხმას — არ დაუშვან საბერძნეთის ეროვნული გმირის მანოლის გლეზოსის სიკვდილით დასჯა.

მანოლის გლეზოსის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას მოითხოვს თბომავალ „მანჩინის“ ეკიპაჟი.

დეპეშაში, რომელიც მიღებულია კიევის ბოეტლის სახელობის ფაბრიკის მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების მტრინგზე, ერთსულოვნად მოითხოვენ ბოლო მოეღოს უკანონობას. შეწყდეს სასამართლო დევნა და განთავისუფლდეს პატიმრისგან მანოლის გლეზოსი.

ასეთივე დეპეშები „კ. ე. ვოროშილოვის სახელზე თხოვნით — გამოვიდეს მანოლის გლეზოსის დასაცავად, მიღებულია ლენინგრადის ლენინგრადის პირველი დისტანციის „ოლექტივისაგან, ლენინგრადის ოლქის მუშათა დაბების სოლნეჩნოედან და კომაროვოდან შრომისა და რევოლუციის ვეტერანებისაგან. უსტ-კამენოგორსკის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებისაგან, პროფესორებისაგან, მასწავლებლებისა და მოსამსახურეებისაგან, მტრინგებიდან, რომლებიც მიეწყო თურქმენეთის სსრ ქალაქ კრასნოვოდსკის საწარმოებსა და დაწესებულებებში, და ჩვენი ქვეყნის ბევრი სხვა ქალაქიდან და სოფლიდან. (საკადესი).

ყოველი მრეწველისთვის

მეგობრობისა და მშვიდობის მისია

დასავლეთი აღიარებს საბჭოთა მეცნიერების ახალ ტრიუმფს

ომანი და უგანდა განაგრძობენ თავდადებულ ბრძოლას

ფ. რ. კოზლოვი ამერიკის შეერთებულ შტატებში

დეტროიტი, 7 ივლისი. (საკდესის კორ.). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილემ ფ. რ. კოზლოვმა და სხვა საბჭოთა სტუმრებმა გუშინ ქალაქ ბერკლში დაათვალიერეს კალიფორნიის უნივერსიტეტის რადიაციის ლაბორატორია.

უნივერსიტეტის პრეზიდენტი კ. კერი გულთბილად მიესალმა ფ. რ. კოზლოვს და წარუდგინა საბჭოთა სტუმრებს თავისი კოლეგები. რადიაციის ლაბორატორიის გამგემ დოქტორმა ე. მაკმილანმა მიიწვია ფ. რ. კოზლოვი ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი სინქროფაზოტრონის დასათვალიერებლად. ათვალიერებს რა სინქროფაზოტრონს, ფ. რ. კოზლოვი ამბობს: „ეს დანადგარი მომაგონებს ჩვენს დანადგარს დუბნაში. მხოლოდ ჩვენი სინქროფაზოტრონი, ჩემი აზრით, უფრო დიდია".

დოქტორი მაკმილანი უპასუხებს: „ჩვენი ბერკლის დანადგარის სიმძლავრეა 6.2 მილიარდი ელექტრონვოლტი, — ამბობს იგი, — ხოლო თქვენი დანადგარისა დუბნაში — 10 მილიარდი". შემდეგ დოქტორი მაკმილანი სტუმრებს უამბობს, რომ ამჟამად ამერიკელმა მეცნიერებმა ბრუკჰეივენში დაიწყეს 30 მილიარდი ელექტრონვოლტის სიმძლავრის ახალი სინქროფაზოტრონის მშენებლობა. თავის მხრივ ფ. რ. კოზლოვი მოაგონებს საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას ააგოს 50 მილიარდი ელექტრონვოლტი სიმძლავრის დანადგარი. „ასეთი შეჯიბრება ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში, — ამბობს ფ. რ. კოზლოვი, — მხოლოდ მისასალმებელია, ეს დიდი და სასარგებლო საქმეა". ფ. რ. კოზლოვი სსრ კავშირს და გაეცნოს საბჭოთა კავშირის მეცნიერთა მუშაობას ამ დარგში.

უნივერსიტეტის პრეზიდენტმა კ. კერმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის კოზლოვისა და სხვა საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად გამართა საუზმე, რომელზეც იყვნენ ქალაქ ბერკლის მეცნიერები. საუზმის დროს ბ-ნმა კერნმა მადლობა გადაუხადა ფ. რ. კოზლოვს იმისათვის, რომ ეწვია უნივერსიტეტს. ასეთი კონტაქტები, განაცხადა მან, ემსახურებიან მთელი მსოფლიოს მშვიდობიან ინტერესებს.

სადასტუმრო სიტყვაში ფ. რ. კოზლოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გაფართოვდეს კონტაქტები სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერების წარმომადგენლებს შორის. ჩვენ მიგვაჩნია, განაცხადა მან, რომ ადამიანის გენიის აღმოჩენები, მათ შორის მიღწევები ატომური ენერგიის დარგში, უნდა გამოვიყენოთ ხალხთა საკეთილდღეოდ, მშვიდობის ინტერესებისათვის. ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ ატომური ენერგია ელექტროდენს აძლევდეს ქალაქებსა და სოფლებს, მოძრაობაში მოაყვანდეს სავაგონო ხომალდები. თანაც ეს ხომალდები შიძლებენ სწრაფად გადაზიდონ ტვირთი ვლადივოსტოკიდან სანფრანცისკომდე და უკან.

ჩვენ მოგიწოდებთ მეგობრობისა და მშვიდობისაკენ ჩვენს ხალხებს შორის. თუ ჩვენს ხალხებს შორის დამყარდა მეგობრობა, ომი შეუძლებელი გახდება.

შეეხო რა ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობის მიზნებს, ფ. რ. კოზლოვმა თქვა: „ჩვენ ამერიკაში ჩამოვედით უწინარეს ყოვლისა ნიუ-იორკში საბჭოთა გამოფენის ოფიციალური გახსნისათვის. ეს ჩვენ დავგეგმილა საბჭოთა მთავრობამ, გარდა ამისა, მე მქონდა სასიამოვნო და სასარგებლო საუბარი თქვენი ქვეყნის სახელმწიფო, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებთან, საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან, მეშენებთან, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებთან. მე ვხედავ, რომ ამერიკელი ხალხი კარგად უყურებს საბჭოთა ხალხს და არ სურს ომი. ამოცანა ის არის, რომ შეეკასრულოთ ხალხების ეს ნება. ჩვენ უნდა ვეცადოთ მშვიდობიანი საშუალებებით დავიჭრათ სადავო საკითხები, ერთმანეთს დავუახლოვოთ ჩვენი პოზიციები და ვიბრძოლოთ მშვიდობის შენარჩუნებისათვის. ამ თვალსაზრისით ჩვენი მოგზაურობა, ჩემი აზრით, სასარგებლოა".

დამსწრეთ ინტერესით მოისმინეს აგრეთვე ფ. რ. კოზლოვის პასუხი კითხვებზე მეცნიერთა ცხოვრებისა და მუშაობის შესახებ საბჭოთა კავშირში.

მეგობრულად გამოეთხოვნენ რა კალიფორნიის უნივერსიტეტის მუშაკებსა და ხელმძღვანელებს, ფ. რ. კოზლოვი და საბჭოთა დელეგაციის წევრები გაემგზავრნენ ოკლენდის აეროპორტში. გაფრენის წინ ფ. რ. კოზლოვმა მადლობა გადაუხადა კალიფორნიის მცხოვრებლებს გულთბილი მიღებისათვის და წარმატება ესურვა მათ ცხოვრებასა და მუშაობაში. 6 ივლისს საღამოს ფ. რ. კოზლოვი და მისი თანმხლები პირები ქალაქ დეტროიტში ჩავიდნენ.

ვ. ბობაჩევი,
ვ. პარამონოვი.

სახელმწიფო საზღვრის დამრღვევნი

ბერლინი, 7 ივლისი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესის სამსახურის ცნობა იმის შესახებ, რომ 5 ივლისს შვილაუს მახლობლად ზალცვედელის რაიონში დასავლეთ გერმანიის სასაზღვრო დაცვის შეიარაღებულ მოსამსახურეთა ჯგუფმა სამი კაცის შემადგენლობით დაარღვია სახელმწიფო საზღვარი.

დაახლოებით სამი საათის შემდეგ საზღვარი დაარღვიეს შტაინის მახლობლად კლეტცეს რაიონში, სადაც საზღვარზე გადმოვიდა აგრეთვე დასავლეთ გერმანიის სასაზღვრო დაცვის სამი შეიარაღებული მოსამსახურე. ორივე ჯგუფი დაეკავა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სასაზღვრო პოლიციამ. გამოძიებით გამოირკვა, რომ სასაზღვრო დაცვის ექვსი მოსამსახურე საკმაოდ არ იყო ორიენტირებული, სად გადის სახელმწიფო საზღვარი.

იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთ გერმანიის სასაზღვრო დაცვის ჯარისკაცებმა დაარღვიეს საზღვარი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ორგანოები ძიებენ, რომ დასავლეთ გერმანიის მხარემ მიიღოს საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც გამორიცხავენ ამგვარი შემთხვევების განმეორებას.

პრემიერ-მინისტრ კასემის განცხადება

ბაღდადი, 7 ივლისი. (საკდესი). გამოვიდა რა პრეს-კონფერენციაზე, ეროვნის პრემიერ-მინისტრმა კასემმა აღნიშნა, რომ ბაღდადის პოლიტიკური პარტიებია საქმიანობის წინააღმდეგ „გართულებულ პერიოდში". „როცა დადგება შესაფერი დრო, — თქვა პრემიერ-მინისტრმა, — მე გამოვაცხადებ, რომ დამთავრდა გართულებული პერიოდი და მოვუწოდებ შეიქმნას პარტიები".

კასემმა პირველად გამოთქვა აზრი გაერთიანებული ეროვნული ფრონტის შესახებ, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ შეიქმნენ ერაყის მთელმა რიგმა პარტიებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. კასემმა განაცხადა, რომ გართულებული პერიოდში იგი მხარს არ უჭერს ასეთი ფრონტის შექმნას და დასძინა: „ეროვნული ფრონტი შეიძლება შეიქმნას გართულებული პერიოდის შემდეგ".

პასუხად ინგლისელ ოკუპანტებს

კაირო, 6 ივლისი. (საკდესი). ომანის იმამის წარმომადგენლობამ კაიროში გამოაქვეყნა განცხადება ომანელ პატიოტთა საომარი მოქმედების შესახებ ინგლისის საოკუპაციო ძალების წინააღმდეგ მიმდინარე წლის ივნისში.

ომანელმა პატრიოტებმა, ნათქვამია განცხადებაში, ამ პერიოდში რამდენიმე თავდასხმა მოაწყეს ინგლისის ჯარების პოზიციებზე ნიზვის, ფარაისა და ფანჯის რაიონებში.

ტგათა დედოფალი

ტგათა დედოფალია რიწა, და აკი თქმულებაც ამბობს — ცისთვის უთხოვიათ ლაჟვარდი მთებს და უჩეში ჩაუდვრიათ. ვინ არ ყოფილა აქ, ვინ არ შეხებია მის ანკარა ფირუზს და არ დაუღიღინია:

შეხედე, რა ცაა!
ეს არის, რაცაა!
შეხედე ამ მხარეს,
ზღვით დილა გვახარებს.

ცათაწვდენილ მწვანე მთებს შორის მოჭცეულა გზაც. გზის პირებში ამოდ შრიალებს ფიჭვი და ნაძვი, გული მიიხარის კვლავ იქით და მიჰქრის მანქანა...

ცხრათვალა მზე ოქროსფერს აღვრის რიწის ცისფერს და კატარღები ტბის ტალღებს კი არა, ცისარტყელის ტალღებს აგორებენ... რა შეიძლება იყოს უფრო ლამაზი, ზეალმტაცი და დამპყრობი. ჰაერიც ამ მზეთუნახავ ტბასავ-ით ანკარაა და სუფთა. ირგვლივ ცვრიანი ბალახი ბიბინებს, დადიხარ ფეხშიშველი, ჩასცქერი ლურჯ წყალს და აღარც გახსოვს, რომ ხადღაც შორს სიცხეა და პაპანაქება. შებინდებისას კი მსუბუქი ნიავი ათრთოლებს სივრცეს, წერწეტა ხის ჩრდილი ბილიკებს ეცემა და ისმის ციური გალობა.

ეს შენი ხიმღერის ხმაა, გმირო ადამიანო, რომელიც აშენებ ქალაქებსა და სოფლებს, ახარებ ზვრებსა და ბაღებს, გაგაყავს არხები და გზები, ჰქმნი ახალ სიმღერებსა და წიგნებს, ვაკაცურად შემართული ახალ-ახალი გმირული საქმეებისათვის.

სურათზე: იუშარის გზა და რიწის ტბა.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა.





შეხვედრა დელეგატთან

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა მოაწყო თბილისის ჟურნალისტთა შეხვედრა მწერალთა III სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატთან პოეტ ს. ჩიქოვანთან.

ამხ. ჩიქოვანმა შეკრებილთა გააცნო ის ამოცანები, რომლებიც ჩვენმა პარტიამ, ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში ყრილობაზე, მწერალთა III ყრილობამ დაუსახეს საბჭოთა მწერლებს — „ადამიანის სულის ინჟინრებს".

ახალი მსარეთმცოდნეობის მუზეუმი

მცხეთა. (საკ. კორ.). კიდევ ერთი შესანიშნავი კულტურული დაწესებულება შეემატა საქართველოს უძველეს ქალაქ მცხეთას. ამას წინათ აქ საზეიმოდ გაიხსნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე თავი მოიყარეს რაიონის პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა, მშრომელთა წარმომადგენლებმა. მიტინგზე იყვნენ ჩვენი რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, სტუმრები დედაქალაქიდან, მეზობელი რაიონებიდან, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან.

სიტყვები წარმოთქვეს პარტიის მცხეთის რაიკომის მდივანმა ზ. მირზიაშვილმა და მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ბერუჩაშვილმა.

ძვირფასი კულტურული დაწესებულების შემატება რაიონის მშრომელებს გულთბილად მიულოცეს პოეტმა აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა ა. კალანდარიშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელით სიტყვა წარმოთქვა ა. ფაქაძემ, მოსწავლეთა სახელით ე. თათარაშვილმა.

გ. რ. ტალახაძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტმა გ. რ. ტალახაძემ ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „საქართველოს შაქმიწები".

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა გ. რ. ტალახაძისათვის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

სპორტის ამბები

სსრ კავშირი-იუგოსლავია

7 ივლისს კიევში გაიმართა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ნაკრებს გუნდების ტრადიციული მატჩის უკანასკნელი მეოთხე ტური. იუგოსლავიის მოჭადრაკეებმა თავის გუნდში 2 სათადარიგო მოთამაშე შეიყვანეს, ხოლო სსრ კავშირის გუნდში მსოფლიო ჩემპიონის მიკოვის ნაცვლად თამამობდა ოსტატი გიორგიძეშვილი.

როგორც წინა ტურში, შეჯიბრება საბჭოთა მოჭადრაკეების უპირატესობით წარიმართა. საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა მსოფლიოს ექსჩემპიონ სპასოვსა და გროსმაისტერ ბლეგოროჩის შორის, რომელიც ყაიმით დამთავრდა. ასეთსავე შედეგს მიაღწია გუფილდმა იანოშევიჩის წინააღმდეგ.

ავერბახმა ჯურაშვილის წინააღმდეგ პარტიის კარგი დაბოლოება მიიღო და გამარჯვებას მიაღწია. ამავე ტურში ტალიანო